სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №120
(გამარტივებული შესყიდვა)

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის **ლეილა გოგუაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „პროვაიდერ.ჯი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სალომე კიკვაძის** სახით (ორივე ერთად ,,მხარეები“), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის საკანცელარიო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **20004.5 (ორი ათას ოთხი ლარი და 50 თეთრი)** ლარს, მათ შორის:

CPV 18400000 – 30,00 ლარი;
CPV 1960000 – 55,00 ლარი;
CPV 22400000 – 60,30 ლარი;
CPV 22800000 – 351,3 ლარი;
CPV 24900000 – 3,25 ლარი;
CPV 30100000 – 516,80 ლარი;
CPV 31400000 – 41,25 ლარი;
CPV 31600000 – 21,10 ლარი;
CPV 33700000 – 235,00 ლარი;
CPV 39500000 – 297,2 ლარი;
CPV 39800000 – 393,30 ლარი.

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტს.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: სამეურნეო ნაწილის სპეციალისტი ნიკა ჩიკაშუა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართის მიხედვით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია: სამეურნეო ნაწილის სპეციალისტი ნიკა ჩიკაშუა.

6. ანგარიშსწორება

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	**შპს „პროვაიდერ.ჯე"**
საიდენტიფიკაციო კოდი - 445388054	*საიდენტიფიკაციო კოდი - 445427119*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*მისამართი: ქ.ბათუმი, ნონეშვილის ქ.N60 ბ.271*
საბანკო რეკვიზიტები:	***საბანკო რეკვიზიტები:***
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო საწარმო	ს.ს. “პროკრედიტ ბანკი”
ბანკის კოდი – TRESGE22	ბანკის კოდი – MIBGGE22
ა/ა № – GE24NB0330100200165022	*ა/ა № – GE13PC0193600100011836*
დირექტორი	**დირექტორი**
_____- */ ლეილა გოგუაძე/*	_____/სალომე კიკვაძე/

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	CPV კოდი 18424000 - ხელთათმანები	ხელთათმანი 2ც ST-8 (M)	ცალი	20	1,50	30,00
2	CPV კოდი 19640000 - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის	412/0466 ნაგვის პარკი 35 ლ/50 ც. (21)	ცალი	10	2,50	25,00
3		412/2169 (NICEPLAST) ნაგვის პარკი 10ც*20. (80x110სმ) 500გრ	ცალი	10	3,00	30,00
4	CPV კოდი 22461100 - ქაღალდის დამჭერები	კლიფსი მეტალის ფერადი 25მმ (შეკვრაში 48ცალი) 8554 (6921734985545)	შეკვრა	2	6,90	13,80
5		კლიფსი მეტალის ფერადი 41მმ (შეკვრაში 24ცალი) 8552	შეკვრა	2	6,20	12,40
6		კლიფსი მეტალის ფერადი 32მმ (შეკვრაში 24ცალი) 8553	შეკვრა	4	5,40	21,60
7		კლიფსი მეტალის ფერადი 19მმ (შეკვრაში 60ცალი) 8555	შეკვრა	2	4,45	8,90
8	CPV კოდი 22816300 - წებოვანი ქაღალდები	ჩასანიშნი წებოვანი ნეონი 76x76მმ 400ფ T1-400/067	შეკვრა	60	3,85	231,00
9	CPV კოდი 24910000 - წებოები	წებო მშრალი PVP 15გრ EA20110 DELI	ცალი	5	0,65	3,25
10	CPV კოდი 22852100 - ფაილები	ფაილი A4 0.35 (100ც) HL-30335	შეკვრა	10	3,80	38,00
11	CPV კოდი 22816100 - ბლოკნოტები	ბლოკნოტი A5 80ფურც 7901	ცალი	7	4,80	33,60
12		ბლოკნოტი A5 82ფურც. 3318	ცალი	5	5,50	27,50
13		ბლოკნოტი A5 80ფურც 7900	ცალი	2	4,00	8,00
14	CPV კოდი 22852000 - საქაღალდეები	საქაღალდე XN310A	ცალი	20	0,50	10,00
15	CPV კოდი 30197600 - დამუშავებული ქაღალდი და მუყაო	ფერადი ქაღალდი A4 80გრ 250(ფურც) 855	შეკვრა	2	11,00	22,00
16		PR - ტილო ა4 280 გ	ცალი	50	0,70	35,00
17	CPV კოდი 30192700 - საკანცელარიო ნივთები	მაკრატელი # 6009 (DELI) (6921734960092)	ცალი	5	3,00	15,00
18		დანა საკანცელარიო 2039 (6921734920393)	ცალი	5	2,00	10,00
19	CPV კოდი 30192121 - ბურთულიანი კალმები	კალამი ბურთულიანი PL0080	ცალი	50	0,80	40,00

20	CPV კოდი 30192130 - ფანქრები	ფანქარი 7079	ცალი	30	0,25	7,50
21	CPV კოდი 30192133 - ფანქრის სათლელები	ფანქრის სათლელი 39768 (6935205397683)	ცალი	10	0,95	9,50
22	CPV კოდი 30192125 - მარკერები	დაფის მარკერი EU00240 Red, DELI	ცალი	5	0,90	4,50
23		დაფის მარკერი EU00130 Blue, DELI	ცალი	5	0,90	4,50
24		დაფის მარკერი EU00220 Black, DELI	ცალი	5	0,90	4,50
25		ტექსტ მარკერი Green U35050, DELI	ცალი	2	1,20	2,40
26		ტექსტ მარკერი Orange U35060, DELI	ცალი	3	1,20	3,60
27		ტექსტ მარკერი Yellow U35070, DELI	ცალი	5	1,20	6,00
28	CPV კოდი 30197210 - რგოლებიანი სწრაფჩამკერები/ბაინ დერები	სწრაფჩამკერი პლასტიკური 39535	ცალი	10	0,70	7,00
29	CPV კოდი 30191130 - სამაგრიანი დაფები /კლიპბორდები	დაფა ფლიფჩარტის სადგამით HL6084	ცალი	1	75,00	75,00
30		პლანშეტი ერთმაგი ა4 # 9244ტ (DELI) (6921734992444)	ცალი	10	3,50	35,00
31	CPV კოდი 30197320 - სტეპლერები	სტეპლერი 24/6 # 0327, 20ფ, (DELI) (6921734903273)	ცალი	9	5,00	45,00
32		სტეპლერი 24/6 0427	ცალი	1	5,00	5,00
33		სტეპლერი, 23/10, 60ფ # 0391 (DELI) (6921734903914)	ცალი	1	18,80	18,80
34	CPV კოდი 30124400 - სტეპლერის ტყვიები	სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 # 0012 (DELI)	ცალი	20	0,55	11,00
35		სტეპლერის ტყვია N23/10 # 0015 (DELI) (6921734900159)	ცალი	10	0,55	5,50
36	CPV კოდი 30197321 - ანტისტეპლერები	ანტისტეპლერი 0688	ცალი	10	1,20	12,00
37	CPV კოდი 30141000 - გამომთვლელი მანქანები/კალკულატორები	კალკულატორი დიდი # 1654 (DELI) (6921734916549)	ცალი	3	13,80	41,40
38		კალკულატორი # 837 (DELI) (6921734908377)	ცალი	3	9,70	29,10
39	CPV კოდი 31651000 - საიზოლაციო ლენტი	სკოჩი 12მმ*14მ 30011	ცალი	12	0,30	3,60
40		სკოჩი დიდი 45მმX30y # 30180 (DELI)	ცალი	10	1,00	10,00
41		სკოჩი ორმაგი 30411	ცალი	5	1,50	7,50
42	CPV კოდი 30192127 - კალმის ჩასადებები	კალმების ჩასადები ჭიქა ბადე LY 9109	ცალი	3	1,80	5,40
43	CPV კოდი 30197120 - ჭიკარტები	ჭიკარტი ლურსმანი 50 1-001/0021 (6408637701903)	შეკვრა	30	0,90	27,00
44	CPV კოდი 30192350 - სალაროს აპარატების ლენტები	თერმოქაღალდი 0.57 (19)	ცალი	20	0,60	12,00
45		ფასების მისაკრავი NB0203-2N (mix neon color) (FOSKA)	ცალი	10	0,80	8,00
46	CPV კოდი 30199731 - სავიზიტო ბარათების ჩასადებები	სავიზიტე ბარათების ჩასადები პლასტიკური 7621	ცალი	2	2,05	4,10
47	CPV კოდი 30197220 - ქაღალდის სკრეპები	სკრეპი ფერადი 100ც 0024 (6921734900241)	ცალი	10	1,10	11,00

48	CPV კოდი 31440000 - ელემენტები	Energizer ელემენტი Alkaline Power multiblister AAA 20 E92 (ცალობით მოსახევი)	შეკვრა	15	1,35	20,25
49		Energizer Alkaline Power AA ელემენტი, 4+1 LR6	შეკვრა	3	7,00	21,00
50	CPV კოდი 33760000 - ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები	Defender CLN 30322 Optima სველი სალფეტკი 100ც	ცალი	9	5,00	45,00
51		პაპია ტუალეტ.ქაღ. 3-ფენა 32X3	ცალი	5	20,00	100,00
52		WW-161 ბავ. სვ ხელ. ვაშლი 120 ც	ცალი	30	3,00	90,00
53	CPV კოდი 39525800 - საწმენდი ტილოები	407/6082 მიკროფიბრა იატაკის ტილო 59*79	ცალი	20	6,00	120,00
54		5903355001102 York მიკრობიბრის ტილო ზომა 40X40 შეფუთვის გარეშე 260 გრამი	ცალი	20	1,50	30,00
55		ტილო მიკროფიბრა, მაგ/ტილო 40/40 (1ც)(ბრაიტ) (7290012514234)	ცალი	25	4,00	100,00
56	CPV კოდი 39525600 - ჭურჭლის სარეცხი ჩვრები	5903355000518 0518 - York ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი MAXI 5ცალიანი (10x7x2.9სმ)	ცალი	4	1,80	7,20
57		4646 - York ჭურჭლის სახეხი ბურბუშელა სპირალისებრი მეგა 1ც	ცალი	10	2,00	20,00
58	CPV კოდი 39525100 - მტვრის საწმენდი ტილოები	1652- York მტვრის და აბლაბუდას მოსაწმენდი ბურთი	ცალი	2	6,00	12,00
59		U010 ჯოხი რკინის (AS004)	ცალი	2	4,00	8,00
60	CPV კოდი 39800000 - საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	(DOMESTOS) დომესტოსი 810gr	ცალი	20	3,50	70,00
61		2204 პრონტო ავეჯის და აპარა. საწმენდი აეროზ. კლასიკი ბზინვარება 250 მლ. (5010182988657)	ცალი	20	8,80	176,00
62		LD-610B შუშის საწმენდი BLUE 500მლ	ცალი	10	2,40	24,00
63		სამზარეულოს საწმენდი სიფ კრემი 500მლ თეთრი	ცალი	21	3,30	69,30
64		DISHWASHING LIQUID JELLY (Orange) ORANGE ჭურჭლის ჟელე ჯელი (ფორთოხალი) ფორთოხლისფერი 500 მლ	ცალი	15	2,00	30,00
65		AE-909 ჰაერის გამწ. ოკეანე 300მლ	ცალი	5	2,40	12,00
66		AE-901 ჰაერის გამწ. ლავანდა 300მლ	ცალი	5	2,40	12,00
	ჯამი (დღგ-ის ჩათვლით)					**2004.5**

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ **შპს „პროვაიდერ.ჯე"**

დირექტორი

_____ ლეილა გოგუაძე

დირექტორი

_____ სალომე კიკვაძე